გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №101

2022 წლის 13 მაისი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის " (ს/ნ 218081590) 2021 წლის ნოემბრიდან განვლილი პერიოდში შესრულებული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის " (ს/ნ 218081590) 2021 წლის ნოემბრიდან განვლილი პერიოდში შესრულებული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის " (ს/ნ 218081590) 2021 წლის ნოემბრიდან განვლილი პერიოდში შესრულებული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

საქართველო
ა(ა)ი პ „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი"

GEORGIA
N.I.P. "THE CENTRE CARE OF
PUBLIC HEALTH OF GORI
MUNICIPALITY"

1400 გორი სტალინის ქ. №2
ტელ 0(370) 27-46-84, 27-46-85.
ელ. ფოსტა Gori.jandacva@gmail.com

1400 GORI, STALIN AVE 2
TEL: 0370) 27-46-84, 27-46-85.

N134

26 აპრილი, 2022 წელი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით რაზმაძეს

ბატონო დავით,

თქვენი 2022 წლის 11 აპრილის № 21-212211015 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ ა.(ა).ი.პ. „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" მუშაობის ანგარიშს 2021 წლის 1 ნოემბრიდან 2022 წლის 1 აპრილამდე.

პატივისცემით,
ა.(ა).ი.პ. „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"ს
დირექტორი: მ.გიუნაშვილი

საქართველო
ა(ა)ი პ „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი"

GEORGIA
N.I.P. "THE CENTRE CARE OF
PUBLIC HEALTH OF GORI
MUNICIPALITY"

1400 გორი სტალინის ქ. №2
ტელ 0(370) 27-46-84, 27-46-85.
ელ. ფოსტა Gori.jandacva@gmail.com

1400 GORI, STALIN AVE 2
TEL: 0370) 27-46-84, 27-46-85.

ა.(ა).ი.პ. გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის
2021 წლის პირველი ნოემბრიდან 2022 წლის 1 აპრილამდე მუშაობის ანგარიში

ა.(ა).ი.პ. გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში აგრძელებდა მუშაობას საქართველოს მთავრობის 2021-2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისათვის. კერძოდ, ეპიდსაწინააღმდეგო, იმუნიზაციის, პარაზიტული დაავადებების დროულ გამოვლენასა და მათ ლიკვიდაციაზე, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაზე და ა.შ

ინფექციურ და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა შესახებ საანგარიშო პერიოდში გორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში სულ შემოსულია სასწრაფო შეტყობინება 827 შემთხვევაზე. მ.შ ქრონიკული „B"ჰეპატიტი - 7, ქრონიკული „C" ჰეპატიტი - 11, კვებითი ინტოქსიკაცია - 163, სოკოთი მოშხამვა - 9, დიარეა - 16, ბორელიოზი -2, ლეპტოსპიროზი - 1, ჩუტყვავილა -6, სიფილისი-6, ქლამიდიოზი-2, ცოფის რისკი -618.

ტუბ კაბინეტიდან შემოსულია სასწრაფო შეტყობინება 15 შემთხვევაზე, აქედან „მგბ +5", „მგბ -" 10. ყველა შემთხვევაზე დროულად ჩატარდა ეპიდკვლევა, მოძიებული იქნა კონტაქტები(სულ12 კონტაქტი),მოხდა მათი რეფერალი ტუბ. კაბინეტში აქტიურ/ლატენტურ ტუბერკულოზზე შემდგომი კვლევებისათვის. კონტაქტებში ტუბერკულოზის შემთხვევები არ დაფიქსირებულა,

საანგარიშო პერიოდში ცხოველთა მიერ დაკბენა - დადორბლის 618 შემთხვევა დაფიქსირდა (მ.შ მოხეტიალე ცხოველით 300, პატრონიანით - 318). სრული კურსი დაენიშნა 217 პირს, პირობითი - 401-ს. ინფორმაცია ცხოველთა დაკბენა-დადორბვლის შესახებ ეცნობა სურსათის უვნებლობის სააგენტოს. ადამიანებში ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით გორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ყოველდღიურად ტარდებოდა ტესტირება ვირუსის დროულად გამოვლინების მიზნით. გარდა ამისა, აქტიურად ვახორციელებდით გეგმიურ ტესტირებებს რისკ ჯგუფებში. სულ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 23 216 ტესტი. ეპიდკვლევა ჩატარდა 6 040 დადასტურებულ შემთხვევაზე და იზოლაციაში გადავიყვანეთ 10 085 მოქალაქე.

სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების დასადგენად ვერბალური აუტოფსია ჩატარდა 394 შემთხვევაში.

„c-ჰეპატიტის ინტეგრირებული სკრინინგის" ფარგლებში გამოკვლეული იქნა 1564 პირი, აქედან დადებითი იყო სამი პიროვნება, რომლებიც შემდგომი კონფირმაციული კვლევიებისათვის გადამისამართდა სამედიცინო დაწესებულებაში.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა ხორციელდებოდა პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებებსა და პირველად ჯანდაცვებს ვაქცინაციისათვის გადაეცათ: 1840 დოზა ბცჟ, 1526 - ჰექსა, 1485 - ტეტრა, 580 -

ტდ, 2012 წწყ , 896 როტა, 1414 - პნევმო, 470 ჰეპატიტი ბ- და 54 დოზა აპვ ვაქცინა, კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინებიდან ფაიზერი- 13 620 დოზა, სინოვაკი 258 და სინოფარმი 5349 დოზა. ვაქცინების მიწოდება ამცრელი კაბინეტებისთვის იყო დროული.

სეზონური გრიპის საწინააღმდეგო აცრები ჩაუტარდა 2095 ადამიანს.

პროფილაქტიკური სამსახურის მიერ მოხდა სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სილამაზისა და ესთეტიკის სალონებში. სულ ჩატარდა 11 სასკოლო, 5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების და 14 სილამაზის სალონის მონიტორინგი. საანგარიშო პერიოდის მანძილზე მოსახლეობასთან ტარდებოდა ვაქცინაციის აუცილებლობაზე საინფორმაციო შეხვედრები.

,,თამბაქოს კანონის'' აღსრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგი ჩაუტარდა 149 ობიექტს მ.შ სავაჭრო - 24, სასწავლო - 23, სამედიცინო - 18, სილამაზის სალონი - 6, საჯარო დაწესებულება - 3, საზოგადოებრივი ტრანსპორტი - 34, სასტუმრო - 15, სამასპინძლო დაწესებულება - 22, მედია 3 და კინო 1. მონიტორინგის შედეგები მობილირი აპლიკაციის მეშვეობით გადაეგზავნა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს.

სისტემატიურად ხდებოდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო სახის შეხვედრები მოსახლეობასთან, მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს ვაწვდიდით პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებს.

,,თამბაქოს მეორადი კვამლისაგან თავისუფალი კოალიციები საქართველოსა და სასომხეთში'' პროექტის ფარგლებში შექმნილი გვაქვს კოალიცია ,,გორი თამბაქოს გარეშე'' პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დამზადდა 2022 წლის კედლის და სამაგიდო კალენდარი და გაკვეთილების ცხრილი თამბაქოს მავნეობაზე და თავის დანებების შემთხვევაში ჯანმრთელობაზე მის გავლენაზე, ასევე დაიბეჭდა და მოსახლეობაში გავრცელდა ფლაერები თამბაქოს მავნეობაზე.

საანგარიშო პერიოდში სამედიცინო დაწესებულებებიდან დროულად მოხდა სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისთვის გადაცემა.

პატივისცემით,
ა.(ა).ი.პ. ,,გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი''ს
დირექტორი: მ.გიუნაშვილი